შესავალი

წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის მისია ეფუძნება ეროვნულ სასწავლო მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას, საქართველოს კანონს „ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო განათლების შესახებ“, კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მე-2 და მე-4 დონის განზოგადებული სწავლების შედეგებს.

გათვალისწინებულია, რომ ზოგადო განათლების მიზნები აღწერს თუ როგორი პიროვნება, მოქალაქე აღზარდოს სკოლამ. ეროვნული გეგმა განსაზღვრავს: რა იცოდეს, რა შეეძლოს, რა ღირებულებებს ფლობდეს მოსწავლე, რა მეთოდოლოგიურ პრინციპებს ემყარებოდეს სწავლა-სწავლების პროცესი.

სასკოლო გეგმა მოიცავს სკოლის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის 2021-2022 სასწავლო წლის მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს I და II საფეხურზე, III საფეხურზე რჩება ძველი გეგმა.

სასკოლო სასწავლო გეგმის ფუნქციაა, ასახოს სკოლის საქმიანობა, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები (მიზნები შედეგები, საგანმანათლებლო პრინციპები, მეთოდური ორიენტირები, შეფასების სისტემა, ადმინისტრაციული ნაწილი) საერთოა ყველა სკოლისთვის, მაგრამ მათი მიღწევის ხარისხიან შედეგზე გავლენას ახდენს სხვადასხვა მოცემულობა, ამ მიმართებით ჩატარდა კვლევები. ადგილობრივი საჭიროებებისა და შესაძლებლობების კვლევამ აჩვენა, რომ საპატრიარქოს დაქვემდებარებული სკოლის არსებობა ადგილობრივ მოსახლეობის მიერ მხარდაჭერილია. მიჩნეულია, როგორც ისტორიული წარსულის
გამოძახილი, ისტორიულ წარსულში ქრისტიანული სარწმუნოების, ქართული სულისა და გენის გადასარჩენად თავგანწირული ათასობით ადამიანის ხსოვნის პატივსაცემად, ზნეობრივი, გონიერი მამულიშვილის აღზრდის კერა. მისაღები აღმოჩნდა გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მუშაობა (I-VI) დასაქმებული მშობლებისთვის, დამატებითი მომსახურება საგნობრივი სწავლების გაძლიერებით, რამაც ოჯახებს რეპეტიტორებთან მომზადების პრობლემა მოუხსნა. მრავალფეროვანი, საგნობრივი და სახელოსნო წრეების (დაზგური ქარგვა, ხეზე კვეთა, ცეკვის, სიმღერის) მუშაობა. მასწავლებელთა სტატუსი, ავტორიტეტი, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიური ჩართულობა, მათ შორის სასწავლო პროცესებში, უფასო სწავლა, ორჯერადი კვება ყველა მოსწავლისთვის, სამჯერადი კვება გახანგრძლივებული ჯგუფისთვის. კეთილგანწყობილი მშვიდობიანი გარემო სხვადასხვა აღმსარებლობის ოჯახის ბავშვებისთვის. კონკურსებში, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მონაწილეობა, დაცულობა და უსაფრთხოება.

სკოლისადმი, სასწავლო პროცესისადმი ინტერესი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მშობლებმა საკუთარი სახსრებით დაიქირავეს ტრანსპორტი და შვილებს ატარებენ 10-20

კილომეტრით დაშორებული მანძილიდან. მათ შორის, შუახევიდან. აღსანიშნავია, რომ ყველა სოფელში არის სკოლა. უახლესი საჯარო სკოლა მოსაზღვრედ მდებარეობს.

მშობლები აღნიშნავენ, რომ ბავშვებს სკოლაში წამოსვლა უხარიათ და სახლშიც მშვიდ, კარგ ხასიათზე ბრუნდებიან.(იხილეთ კვლევები, დანართი N 2).

სასკოლო გეგმა ჰოლისტურია. შესასრულებლად გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა მოთხოვნა. სასკოლო ცხოვრების ყველა სფერო.

აუცილებელ მახასიათებლად მიჩნეულია განვითარებაზე ორიენტირება, სასწავლო წლის დასაწყისშივე ჩატარებული კვლევების და თვითშეფასების რისკების განსაზღვრის საფუძველზე შედგენილია პროგრამები, გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები. განსაზღვრულია მონიტორინგის ჩატარება და მიღწეული შედეგების შეფასების გამოყენება განვითარებისთვის.

სასკოლო გეგმის შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებელბი, სკოლის ადმინისტრაცია, მშობლები, ხიჭაურის ბაგა-ბაღის მენეჯერი, რესურსცენტრი. მონაწილეობითი თანამშრომლობა განაპირობებს არა მხოლოდ გეგმის შემუშავების ხარისხს, არამედ მონიტორინგის სანდოობას და მიღებული მონაცემების გამოყენებას განვითარებისთვის.

სასკოლო საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტია მესამე თასობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა I და II საფეხურზე. მზადდება მესამე თაობის ე.ს.გ მესამე საფეხურზე დასანერგად.